Nana Shavtvaladze
ნანა შავთვალაძე

Communication Georgian II
საკომუნიკაციო ქართული II

მეორე გამოცემა

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი
2019

„საკომუნიკაციო ქართული II“ განკუთვნილია სტუდენტებისთვის, რომლებიც დაინტერესებული არიან კომუნიკაციური ქართულის შესწავლიის გაგრძელებით. სახელმძღვანელო დაფუძნებულია სწავლების ოთხ უნარზე: წერა, კითხვა, მეტყველება და მოსმენა. წიგნი დასაწყისი დონიდან თანამედროვე მეთოდების საშუალებით ეტაპობრივად ავითარებს ლექსიკურ და საჭირო გრამატიკულ მასალას. ერთი სემესტრის განმავლობაში მარტივიდან რთულის პრინციპით შემსწავლელები დაეუფლებიან A2 დონეს.

“Communication Georgian II“ is for the students who are eager to continue study Communication Georgian. The Student book is grounded on four skills: Reading, Writing, Speaking and Listening. The book helps students enrich vocabulary and grammar step by step from the very beginning based on modern methods. In one semester, through the principle of moving from simple to more complicated, they will approach and hold the Georgian Language on A2 level.

Communication Georgian II

საკომუნიკაციო ქართული II

მეორე გამოცემა

ავტორი

ნანა შავთვალაძე

რედაქტორი

ნანა კუპრაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა

ნინო სუარიძე

ქართული გამოცემა © 3554, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019

მისამართი: კოსტავას ქ. 77ა, თბილისი 0171, საქართველო.

ტელ.: 032 2 55 22 22

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის ერცერთი ნაწილი არანაირი ფორმით ან საშუალებით
არ შეიძლება გამოყენებული იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ISBN 978-9941-9644-6-6

დაიბეჭდა საქართველოში

სარჩევი

1. თემა: **ბინის ქირაობა/Renting an Apartment** 5-19
გრამატიკა: რიგობითი რიცხვითი სახელი-პირველი/მეორე...; სუფიქსი -იან
ზმნა: (ახლანდელი დრო)-აქირავებს; ქირაობს; მოსწონს
ლექსიკა თემის ირგვლივ: ბინის განლაგება

2. თემა: **საყიდლებზე/Shopping** 20-33
გრამატიკა: ზმნისწინის ფუნქციები, მიმართულებები: მი-მო/შე-გა-/ა-ჩა-
ზმნა: აკეთებს/მიდის-მოდის/შედის-გადის/ადის-ჩადის-ახლანდელი დრო
ბრძანებითის ფორმა; თანდებული - თვის
ლექსიკა თემის ირგვლივ: ბაზრობაზე

3. თემა: **სხეულის ნაწილები/Body Parts** 34-49
გრამატიკა: განსაზღვრებითი ნაცვალსახელები - რამე/ვინმე/
სადმე/რომელიმე...; თანდებული - თვის; კავშირი -რადგან, ხან..., ხან
მიცემითი ბრუნვა: -ს
ზმნა: სტკივა/წუხს/ზომავს/სინჯავს (ახლანდელი დრო)
ლექსიკა თემის ირგვლივ: ექიმთან

4. თემა: **მთაწმინდის პარკში/At the Mtatsminda Park** 50-66
გრამატიკა: თანდებული -თან/-თან ერთად/
ზმნა:ამზადებს/ჰყავს/მოდის/შემოდის-გამოდის/ამოდის-ჩამოდის; ახლანდელი დრო
ბრძანებითის ფორმა; კავშირი: რომ
ზმნიზედა:ხანდახან, ზოგჯერ
ლექსიკა თემის ირგვლივ: სეირნობა

5. თემა: **მგზავრობა/Travel** 67-82
გრამატიკა: თანდებული - მდე/-ამდე/...-იდან/-დან
ზმნა: შეუძლია/უნდა/მოსწონს/უყვარს (ახლანდელი დრო)
ნასწავლი ზმნების საწყისი: დალევა, წასვლა, მოსვლა. კავშირი: როცა
ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი სიტყვები: წინ/უკან
მიმართულების აღმნიშვნელი სიტყვები: ზემოთ/ქვემოთ/ზევით/ქვევით/
ლექსიკა თემის ირგვლივ: გზაზე

6. თემა: **უნივერსიტეტში/At the University** 83-98
გრამატიკა: მიცემითი ბრუნვა: -ს; კავშირი: თუ
უარყოფითი ნაწილაკები: არ/ვერ
ზმნა: მეცადინეობს, წერს, კითხულობს, უსმენს (ახლანდელი დრო)
სვლა/მიდის-მოდის/შედის-გადის/ადის-ჩადის (წარსული დრო)
ლექსიკა თემის ირგვლივ: უნივერსიტეტის ცხოვრების შესახებ

7. თემა: **დაბადების დღეზე/At the Birthday** 99-117
გრამატიკა: თანდებული - გან; ნაწილაკი -ვე; ზმნიზედა - შემდეგ/ქვეშ
ზმნა: იღებს/ატარებს/იგებს/პატიჟებს (ახლანდელი დრო)
სვლა/მიდის-მოდის/შედის-შემოდის/გადის-გამოდის/ადის-ამოდის/ჩადის-ჩამოდის/
გადადის-გადმოდის (მომავალი დრო)

მომავალი დრო[I]: ცხოვრობს - იცხოვრებს - ი-ებ;
კავშირი: იმიტომ რომ
ლექსიკა თემის ირგვლივ: გართობა
8. თემა: **სტუმრად საქართველოში/Visit to Georgia** 118-134
თანდებული: შესახებ/-ზე; ირგვლივ
ზმნები: აჩერებს/აგრძელებს/ასვენებს/აკლებს
მომავალი დრო[II]: აკეთებს - გა-აკეთბს
კავშირი: ან..., ან.../განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები: კავშირი+ც... სადაც
ლექსიკა თემის ირგვლივ: ტურიზმი
9. თემა: **ბიზნესსაქმიანობა/Business Activity** 135-152
გრამატიკა: თანდებული: - კენ
უარყოფითი ნაცვალსახელები: ნუ
ზმნები:აგროვებს/აფასებს/აინტერესებს/ამშვიდებს
წარსული დრო[II]: გავაკეთე/დავისვენე
კავშირი: რომლებიც
ლექსიკა თემის ირგვლივ: ბიზნესი
10. თემა: **განათლება/Education** 153-169
გრამატიკა: თანდებული: გამო
ზმნები:უვლის/უშვებს/უხარია/სჭირდება
წარსული დრო[II]: შევაგროვე/დავაფასე
II კავშირებითი; ნაწილაკი: უნდა; არ; შეუძლია
კავშირი: ან..., ან...
ლექსიკა თემის ირგვლივ: სწავლება
11. თემა: **საავადმყოფოში/At the Hospital** 170-188
გრამატიკა: თანდებული: გარდა/მიხედვით
ზმნები:რეკავს/კეტავს/ხედავს/კარგავს
მომავალი დრო[II]/წარსული დრო[II]: დარეკავს/დარეკა
მომავალი დრო:ექნება/ეყოლება
ნაწილაკი: მინდა;უნდა;არ;შეუძლია+ II კავშირებითი
კავშირი: ვინც/რაც
ლექსიკა თემის ირგვლივ: ავადმყოფობა
12. თემა: **ჩემი ერთი დღე/My one day** 189-207
გრამატიკა: თანდებული: მაგივრად/ნაცვლად
ზმნები:ეძებს/პოულობს/მიაქვს/მიჰყავს
წარსული დრო: ჰქონდა/ჰყავდა
მომავალი/წარსული დრო: სვლა
II კავშირებითი; ნაწილაკი: უნდა; არ; შეუძლია
კავშირი: არც..., არც...
ლექსიკა თემის ირგვლივ: დილის მოწესრიგება
13. დანართი 208-222
14. მოსასმენი მასალა _ Listening Materials 224- 234

I. ბინის ქირაობა/Rent the apartment

თემა: **ბინის ქირაობა/Renting an Apartment**
გრამატიკა: რიგობითი რიცხვითი სახელი-პირველი/მეორე
სუფიქსი -იან;
ზმნა: (ახლანდელი დრო)-აქირავებს; ქირაობს; მოსწონს
ლექსიკა თემის ირგვლივ: ბინის განლაგება

- რას ფიქრობთ, როცა პირველად ქირაობთ ბინას?
- ქირაობის დროს რას აქვს თქვენთვის უპირველესი მნიშვნელობა?

I. წაიკითხეთ დიალოგები:

ა.

-ბოდიში, აქ ბინას ვინ **აქირავებს?**

-არ ვიცი, ჩვენ **არ ვაქირავებთ.**

-**მაპატიეთ!**

-არა უშავს, არაა პრობლემა!

-დიდი მადლობა!

-არაფრის!

ბ.

-ბოდიში, **თქვენ** ბინას **აქირავებთ?**

-**მე** ბინას არ **ვაქირავებ.**

-**უკაცრავად!**

-არა უშავს, არაა პრობლემა!

-დიდი მადლობა!

-არაფრის!

გ.

-აქ ბინას **ისინი აქირავებენ?**

-ვიცი, რომ არ აქირავებენ.

-მაპატიეთ, შეგაწუხეთ!

-არა უშავს, არაა პრობლემა!

-დიდი **მადლობა!**

დ.

-აქ ბინას თქვენ **აქირავებთ?**

-ჩვენ ბინას არ **ვაქირავებთ.**

-უკაცრავად!

-არა უშავს, არაა პრობლემა!

-დიდი მადლობა!

ე.

-აქ ბინას ის **აქირავებს?**

-**ვიცი**, რომ არ აქირავებს.

-მაპატიეთ, **შეგაწუხეთ!**

-არა უშავს, არაა პრობლემა!

-დიდი მადლობა!

-არაფრის!

ვ.

-ბოდიში, აქ ბინას **შენ აქირავებ?**

-კი, ვაქირავებ.

-სად აქირავებ?

-საბურთალოზე.

-არა, საბურთალოზე **არ მინდა.**

-კი, **ბატონო!**

-დიდი მადლობა!

-არაფრის!

ზ.

-აქ ვინ **აქირავებს?**

-არავინ **აქირავებს.**

-ძალიან ცუდი. დიდი მადლობა!

-არაფრის, ნახვამდის.

-კარგად.

თ.

-ბოდიში, აქ ბინას ისინი **აქირავებენ?**

-კი, **აქირავებენ.**

-სად აქირავებენ?

- **საბურთალოზე.**

-ძალიან **კარგი.**

მე **ვ**აქირავებ - I rent out	ჩვენ **ვ**აქირავებ**თ** - We rent out
შენ აქირავებ - You rent out	თქვენ აქირავებ**თ** - You rent (pl.)out
ის აქირავებ**ს** - He/She rents out	ისინი აქირავებ**ენ** - They rent out

---

უკაცრავად - Sorry მაპატიეთ - Pardon me შეგაწუხეთ - Bother you

სავარჯიშო 1.

წაიკითხეთ და ჩასვით:

ა.

-ბოდიში, აქ ბინას ვინ ----------?

-არ ვიცი, ჩვენ --- ----------.

-----------!

-არა უშავს, არაა პრობლემა!

-დიდი მადლობა!

-არაფრის!

ბ.

-ბოდიში, --------- ბინას ----------?

----- ბინას არ ----------.

-----------!

-არა უშავს, არაა პრობლემა!

-დიდი მადლობა!

-არაფრის!

გ.

-აქ ბინას --------- ----------?

----------, რომ არ აქირავებენ.

-მაპატიეთ, შეგაწუხეთ!

-არა უშავს, არაა პრობლემა!

-დიდი ----------!

დ.

-აქ ბინას თქვენ ----------?

-ჩვენ ბინას არ ----------.

-უკაცრავად!

-არა უშავს, არაა პრობლემა!

-დიდი მადლობა!

ე.

-აქ ბინას ის ----------?

-----------, რომ არ აქირავებს.

-მაპატიეთ, ----------!

-არა უშავს, არაა პრობლემა!

-დიდი მადლობა!

-არაფრის!

ვ.

-ბოდიში, აქ ბინას ----------?

-კი, ვაქირავებ.

-სად აქირავებ?

-საბურთალოზე.

-არა, საბურთალოზე --- ----------.

-კი, ----------!

-დიდი მადლობა!

-არაფრის!

ზ.

-აქ ვინ ----------?

-არავინ ----------.

-ძალიან ცუდი. დიდი მადლობა!

-არაფრის, ნახვამდის.

-კარგად.

თ.

-ბოდიში, აქ ბინას ისინი ----------?

-კი, ----------.

-სად აქირავებენ?

----------.

-ძალიან ----------.

II. წაიკითხეთ დიალოგები:

ა.

-იცი, ჩვენ ბინას აქ **ვქირაობთ.**

-მართლა! ამ უბანში **ქირაობთ?**

-არ ვიცოდი, კარგი **უბანია!**

-კი, კარგია, ცენტრთან ახლოსაა!

-ყველა ტრანსპორტი მიდის!

-კარგია!

ბ.

-ბოდიში, **თქვენ** ბინას **აქირავებთ?**

-**მე** ბინას არ **ვაქირავებ.**

-**უკაცრავად!**

-არა უშავს, არაა პრობლემა!

-დიდი მადლობა!

-**შესანიშნავია!**

გ.

-აქ ბინას **ისინი ქირაობენ?**

-ვიცი, რომ არ ქირაობენ.

-მაპატიეთ, შეგაწუხეთ!

-**არა უშავს,** არაა პრობლემა!

-დიდი მადლობა!

-არაფრის!

დ.

-ბოდიში, აქ ბინას შენ ქირაობ?

-მე ბინას არ ვქირაობ.

-შენი სახლი გაქვს?

-კი, **კერძო** სახლი გვაქვს!

-**შესანიშნავია!**

-გმადლობთ!

ე.

-აქ ბინას ის **ქირაობს?**

-ვიცი, რომ არ ქირაობს.

-სად ცხოვრობს?

-არ ვიცი, **სხვა** უბანში.

-**კეთილი!**

-ნახვამდის!

ვ.

-ბოდიში, აქ ბინას **შენ ქირაობ?**

-მე, ბინას არ ვქირაობ, მაქვს.

-სად გაქვს ბინა?

-ბინა მაქვს **დიდუბეში.**

-კარგი უბანია?

-კი, კარგი უბანია!

მე **ვ**ქირაობ - I rent	ჩვენ **ვ**ქირაობ**თ** - We rent
შენ ქირაობ - You rent	თქვენ ქირაობ**თ** - You rent (pl.)
ის ქირაობ**ს** - He/She rents	ისინი ქირაობ**ენ** - They rent

უბანი - neighborhood	შესანიშნავი - wonderful	კერძო - privet
ბინა - apartment	კეთილი - OK/kind	სხვა - other

სავარჯიშო 2.

წაიკითხეთ და ჩასვით:

ა.

-იცი, ჩვენ ბინას აქ ----------.

-მართლა! ამ უბანში ----------?

-არ ვიცოდი, კარგი ----------!

-კი, კარგია, ცენტრთან ახლოსაა!

-ყველა ტრანსპორტი მიდის!

-კარგია!

ბ.

-ბოდიში, ------- ბინას ----------?

----- ბინას არ ----------.

-----------!

-არა უშავს, არაა პრობლემა!

-დიდი მადლობა!

-----------!

გ.

-აქ ბინას ---------- ----------?

-ვიცი, რომ არ ქირაობენ.

-მაპატიეთ, შეგაწუხეთ!

----------, არაა პრობლემა!

-დიდი მადლობა!

-არაფრის!

დ.

-ბოდიში, აქ ბინას შენ ქირაობ?

-მე ბინას არ ვქირაობ.

-შენი სახლი გაქვს?

-კი, ---------- სახლი გვაქვს!

-----------!

-გმადლობთ!

ე.

-აქ ბინას ის ----------?

-ვიცი, რომ არ ქირაობს.

-სად ცხოვრობს?

-არ ვიცი, ---------- უბნაში.

----------!

-ნახვამდის!

ვ.

-ბოდიში, აქ ბინას ------ ----------?

-მე, ბინას არ ვქირაობ, მაქვს.

-სად გაქვს ბინა?

-ბინა მაქვს ----------.

-კარგი უბანია?

-კი, კარგი უბანია!

სავარჯიშო 3.

ჩასვით ზმნა - **ქირაობს**-- სწორად:

ნიმუში: _____

#	მე	ვქირაობ
1.	ნინო	
2.	შენ	
3.	გიორგი და თეა	
4.	ის	
5.	მე და დათო	
6.	თქვენ	
7.	ნიკა	
8.	ჩვენ	
9.	მანანა და მაია	
10.	ისინი	

სავარჯიშო 4.

ჩასვით ნიმუშის მიხედვით: ნინო ბინას - **დიდუბეში**-- ქირაობს.

საბურთალო ვაკე ქუთაისი ბათუმი ავლაბარი გლდანი სოლოლაკი რუსთაველი ცენტრი დიღომი

1. ჩვენი ნიგერიელი მეგობრები ბინას ---------- ქირაობენ.

2. ეს ჩვენი სტუმარი ბინას ---------- ქირაობს.

3. ახლა სხვა უბანში, ----------, ვქირაობთ.

4.ბინას სად ქირაობთ, ----------?

5. თქვენ---------- ქირაობთ?

6. მე არ მინდა ---------- და არ ვქირაობ, თბილისში ვქირაობ.

7.რომელ უბანში, ---------- ქირაობ?

8.ზაფხულში ბინას ყოველთვის ---------- ვქირაობთ.

9.სტუდენტია და ბინას ---------- ქირაობს.

10. თქვენ ბინას ---------- ქირაობთ?

III. წაიკითხეთ დიალოგები:

ა.

-იცით, მე ბინის **ქირაობა** მინდა.

-მართლა! სად გინდათ? როგორი ბინა გინდათ? რამდენი კაცი იქნებით?

-ბინა ცენტრთან ახლოს მინდა; სამი **ოთახი**; ოთხი კაცი ვიქნებით.

-**სამოთახიანი** და **ოთხოთახიანი** ბინები ძვირია, **თან** ცენტრთან ახლოს

გინდათ.

-ოთხი კაცი ვართ და **ამიტომ** გვინდა დიდი ბინა.

-**გასაგებია.**

-**ქირა** რა იქნება?

-**ჯერ** არ ვიცი.

ბ.

-ბინის ქირაობა მინდა, დაბალ **სართულზე** და თან **ავეჯით**.

-დაბალი სართული? პირველი და მეორე?

-დიახ, თუ შეიძლება.

-კი, ბატონო ახლა გვაქვს ბინა პირველ სართულზე, მაგრამ არ არის **გარემონტებული.**

-არა, ჩვენ გარემონტებული ბინა გვინდა და იყოს უფრო ძვირი, მაგრამ მაღალი სართული არ გვინდა.

-არის ერთი ბინა, მაგრამ **სასადილო** ოთახი პატარა აქვს, **საძინებელი ოთახი** ერთი აქვს.

-არა, ჩვენ ორი საძინებელი გვინდა.

-გასაგებია.

ქირაობა - renting/to rent
ქირა - rent (money –which you give monthly)
თან - and also
სართული - floor
სამოთახიანი - three rooms
სასადილო ოთახი- dining room
გასაგებია - It's clear, understood
ავეჯი - furniture
ჯერ - yet ამიტომ – because of
გარემონტებული - remodel
ოთხოთახიანი - four rooms
საძინებელი ოთახი - bedroom

სავარჯიშო 5.

წაიკითხეთ და ჩასვით:

ა.

-იცით, მე ბინის ---------- მინდა.

-მართლა! სად გინდათ? როგორი ბინა გინდათ? რამდენი კაცი იქნებით?

-ბინა ცენტრთან ახლოს მინდა; სამი ----------; ოთხი კაცი ვიქნებით.

-**----------** და **----------** ბინები ძვირია, **----------** ცენტრთან ახლოს გინდათ.

-ოთხი კაცი ვართ და **----------** გვინდა დიდი ბინა.

-**----------**

-**----------** რა იქნება?

-**----------** არ ვიცი.

ბ.

-ბინის ქირაობა მინდა, **----------** და თან **----------**.
-დაბალი სართული? პირველი და მეორე?

-დიახ, თუ შეიძლება.

-კი, ბატონო ახლა გვაქვს ბინა პირველ სართულზე, მაგრამ არ არის **----------.**

-არა, ჩვენ გარემონტებული ბინა გვინდა და იყოს უფრო ძვირი, მაგრამ მაღალი სართული არ გვინდა.

-არის ერთი ბინა, მაგრამ **----------** ოთახი პატარა აქვს, **----------**

---------- ერთი აქვს.

-არა, ჩვენ ორი საძინებელი გვინდა.

-გასაგებია.

სავარჯიშო 6.

უპასუხეთ კითხვებს:

1. თქვენ სად ქირაობთ ბინას ან სახლს?

---

2. რომელ უბანშია თქვენი ბინა?

---

3. რომელ სართულზე ცხოვრობთ?

---

4. რამდენოთახიანია თქვენი ბინა?

---

5. ვისთან ერთად ქირაობთ ბინას?

---

6. რამდენია თქვენი სახლის ქირა?

---

7. რამდენი საძინებელი გაქვთ და როგორი?

---

8. სასადილო ოთახი პატარა და მზიანი გაქვთ?

სავარჯიშო 7.

დაწერეთ ნიმუშის მიხედვით: ---მარილი--- ↔ ---მარილ**იან**ი--

1.	შაქარი	
2.		გაზიანი
3.	მარილი	
4.	ყინული	
5.		შვიდოთახიანი
6.	რძე	
7.		ლიმონიანი
8.	მზე	
9.		თოვლიანი
10.		ცხრასართულიანი
11.	ქარი	
12.		ხუთოთახიანი
13.	სამი სართული	
14.		წვიმიანი
15.	ორი ოთახი	

დაიმახსოვრეთ:

ორი - მეორე

ordinal stem + prefix -მე; suffixes - ე;

მე--stem--ე; სამი → მესამე; ოთხმოცი → მეოთხმოცე;

ordinal stem with და + prefix -მე; suffixes - ე;

stem + და + მე--stem--ე;

ოცდაოთხი → ოცდამეოთხე

გამონაკლისია: ერთი → პირველი;

სავარჯიშო 8.

დაწერეთ ნიმუშის მიხედვით: -ოცდაათი-↔ -ოცდამეათე

1. ოცდათვრამეტი-→----------
2. თხუთმეტი-→----------
3. სამოცდაათი-→----------
4. ოთხმოცდათორმეტი-→----------
5. ოცდაერთი-→----------
6. ორმოცდაცხრა-→----------
7. სამოცდახუთი-→----------
8. ოთხმოცდასამი-→----------
9. თერთმეტი-→----------
10. ოცი-→ ----------

სავარჯიშო 9.

დაწერეთ ნიმუშის მიხედვით: -ორი- ↔ -მეორე-

-ოცდაორი- ↔ -ოცდამეორე-

	რაოდენობითი **4-ოთხი**	**რიგობითი** **მეოთხე**
1.	8----------	----------
2.	----------	მესამე
3.	7----------	----------
4.	----------	ოცდამეჩვიდმეტე
5.	6----------	----------
6.	20----------	----------
7.	----------	ორმოცდამეშვიდე
8.	90----------	----------
9.	----------	ოცდამეთხუთმეტე
10.	-27----------	----------
11.	----------	მეასე
12.	1----------	----------
13.	----------	ორმოცდაათი
14.	49----------	----------

IV. წაიკითხეთ დიალოგები:

ა.

-შენს ბინას რამდენი **სადარბაზო** აქვს?

-ოთხი სადარბაზო.

-შენ რომელ სადარბაზოში ცხოვრობ? მე არაფერი ვიცი შენ **შესახებ.**

-მე ვცხოვრობ მეოთხე **სადარბაზოში**, შენ?

-მე - მეორეში.

-გასაგებია.

ბ.

- იცი, ჩემს სასადილო ოთახს აქვს ოთხი **ფანჯარა.**

-უი, ფანჯრები სულ არ აქვს ჩემს სასადილო ოთახს. საძინებელს აქვს

ერთი **კარი**, რომელიც აივანზე გადის.

-ჩემს საძინებელს ორი ფანჯარა აქვს და აივანი **სულ** არ აქვს.

-მე მომწონს **აივანი** და მიყვარს, როცა სახლს აქვს დიდი აივანი.

-კი, კარგია!

-**მართალი** ხარ!

გ.

-ჩვენს ახალ სახლს ერთი **აბაზანა** და ორი **ტუალეტი** აქვს.

-კარგია. მე ერთი აბაზანა და ერთი ტუალეტი მაქვს, მაგრამ ერთად.

-როგორ ერთად?

-ერთი **ოთახია** და იქ არის აბაზანაც და ტუალეტიც.

-ფანჯარა აქვს შენს აბაზანას?

-არა, ფანჯარა არ აქვს.

-ცუდია, ჩემს აბაზანა და ტუალეტს აქვს.

სადარბაზო - entrance	აივანი - balcony	მართალი - true
ფანჯარა - window	აბაზანა - bathroom	შესახებ - about
კარი - door, chapter	ტუალეტი- toilet	როცა - when

სავარჯიშო 10.

წაიკითხეთ დიალოგები და ჩასვით საჭირო სიტყვები:

ა.

-შენს ბინას რამდენი ---------- აქვს?

-ოთხი სადარბაზო.

-შენ რომელ სადარბაზოში ცხოვრობ? მე არაფერი ვიცი შენ ----------.

-მე ვცხოვრობ მეოთხე ----------, შენ?

-მე მეორეში.

-გასაგებია;

ბ.

იცი, ჩემს სასადილო ოთახს აქვს ოთხი ----------.

-უი, ფანჯრები სულ არ აქვს ჩემს სასადილო ოთახს. საძინებელს აქვს

ერთი ----------, რომელიც აივანზე გადის.

-ჩემს საძინებელს ორი ფანჯარა აქვს და აივანი ---------- არ აქვს.

-მე მომწონს ---------- და მიყვარს, როცა სახლს აქვს დიდი აივანი.

-კი, კარგია!

-**----------** ხარ!

გ.

-ჩვენს ახალ სახლს ერთი ---------- და ორი ---------- აქვს.

-კარგია. მე ერთი აბაზანა და ერთი ტუალეტი მაქვს, მაგრამ ერთად.

-როგორ ერთად?

-ერთი ---------- და იქ არის აბაზანაც და ტუალეტიც.

-ფანჯარა აქვს შენს აბაზანას?

-არა, ფანჯარა არ აქვს.

-ცუდია, ჩემს აბაზანა და ტუალეტს აქვს.

V. წაიკითხეთ დიალოგები:

ა.

-შენს ბინას როგორი **იატაკი** აქვს?

-**იატაკი** კარგი აქვს.

-რა ფერია?

-ყავისფერი. **მოგწონს** ყავისფერი იატაკი?

-კი, კარგია.

ბ.

-ჩემს ბინას მაღალი **ჭერი** აქვს, შენს ბინას როგორი **ჭერი** აქვს?

-ჩემს ბინასაც მაღალი ჭერი აქვს, ფანჯრებიც დიდი აქვს. მე **მომწონს** მაღალი ჭერი. იმიტომ, რომ ბინას მაღალი ჭერი აქვს, ჩვენს ბინაში ყველა კარიც მაღალია.

-ჩვენთან, ბინაში კი ჭერი მაღალია, მაგრამ ფანჯრები პატარაა და კარები დაბალია.

-ხალხს ძალიან **მოსწონს** მაღალი ჭერი.

-კარგია, მაღალი ჭერიც და დიდი ბინა ჩვენც **მოგვწონს.**

გ.

-**ადრე** ჩვენი ბინა არ იყო კარგი. იმ ბინას დაბალი ჭერი აქვს, მაგრამ ძალიან დიდი **სამზარეულო.**

-კარგია. სასადილო ოთახი აქვს სახლს?

-არა, ეს დიდი **სამზარეულო** იყო სასადილო ოთახიც და **სამზარეულოც.**

-გასაგებია. ახალ ბინას როგორი **სამზარეულო** აქვს?

-სამზარეულო პატარა აქვს, მაგრამ უფრო იაფი ბინაა. სამზარეულო პატარა რომ აქვს, გვიან გავიგეთ.

-არა უშავს, არაა პრობლემა.

მე მო**მ**წონ**ს** - I like	ჩვენ მო**გვ**წონ**ს** - We like
შენ მო**გ**წონ**ს** - You like	თქვენ მო**გ**წონ**თ** - You like (pl.)
მას მო**ს**წონ**ს** - He/She likes	**მათ** მო**ს**წონ**თ** - They like

იატაკი - floor	სამზარეულო - kitchen	კი - yes, however
ჭერი - ceiling	საქმე - affairs; case; business	იმიტომ, რომ - because of
ადრე- early, before	გვიან - late	ხალხი- people

სავარჯიშო 11.

წაიკითხეთ დიალოგები და ჩასვით საჭირო სიტყვები:

ა.

-შენს ბინას როგორი ---------- აქვს?

-**----------** კარგი აქვს.

-რა ფერია?

-ყავისფერი. ---------- ყავისფერი იატაკი?

-კი, კარგია.

ბ.

-ჩემს ბინას მაღალი ---------- აქვს, შენს ბინას როგორი ---------- აქვს?

-ჩემს ბინასაც მაღალი ჭერი აქვს, ფანჯრებიც დიდი აქვს. მე ---------- მაღალი ჭერი. იმიტომ, რომ ბინას მაღალი ჭერი აქვს, ჩვენს ბინაში ყველა კარიც მაღალია.

-ჩვენთან, ბინაში კი ჭერი მაღალია, მაგრამ ფანჯრები პატარაა და კარები დაბალია.

-ხალხს ძალიან ---------- მაღალი ჭერი.

-კარგია, მაღალი ჭერიც და დიდი ბინა ჩვენც ----------.

გ.

-**----------** ჩვენი ბინა არ იყო კარგი. იმ ბინას დაბალი ჭერი აქვს, მაგრამ ძალიან დიდი ----------.

-კარგია. სასადილო ოთახი აქვს სახლს?

-არა, ეს დიდი ---------- იყო სასადილო ოთახიც და ----------.

-გასაგებია. ახალ ბინას როგორი ---------- აქვს?

-სამზარეულო პატარა აქვს, მაგრამ უფრო იაფი ბინაა. სამზარეულო პატარა რომ აქვს, გვიან გავიგეთ.

-არა უშავს, არაა პრობლემა.

სავარჯიშო 12.

აღწერეთ, როგორია თქვენი სახლი:

ჩემი სახლი

სავარჯიშო 13.

ჩაწერეთ რომელი ოთახები აქვს თქვენს ბინას:



სავარჯიშო 14.

წაიკითხეთ ტექსტი: **ჩემ შესახებ**

მე ნიგერიიდან ვარ. თბილისში ორი თვის წინ ჩამოვედი. ვცხოვრობ საბურთალოზე. საბურთალო ლამაზი უბანია. ჩემი სახლი პეკინის ქუჩაზეა, მეოთხე სადარბაზოა, 17 ნომერია, მეშვიდე სართული. ბინა სამოთახიანია და ძალიან მზიანია. ბინაში გვაქვს ერთი პატარა სამზარეულო, აივანი, ერთი სასადილო ოთახი, ერთი აბაზანა-ტუალეტი და ორი საძინებელი ოთახი.

მე საქართველოს უნივერსიტეტში ვსწავლობ, დიდუბეში ვცხოვრობ. უნივერსიტეტი საბურთალოზეა, ამიტომ, უნივერსიტეტში ფეხით ვერ მივდივარ. მე ავტობუსით მგზავრობა არ მომწონს, იქ ყოველთვის ბევრი ხალხია.

დილას ადრე, რვა საათზე, ვსაუზმობ, შემდეგ მივდივარ უნივერსიტეტში, სადაც ორშაბათიდან შაბათამდე ვსწავლობ. შაბათ-კვირას მეგობრებთან ერთად დავდივარ პარკში, კაფეში. ძალიან ხშირად არის მეგობრის დაბადების დღე და ამ დღეს ყველა ერთად ვზეიმობთ.

ვფიქრობ, მე მომწონს საქართველოში ცხოვრება და სწავლა, ამიტომ ვიქნები აქ ოთხი წელი. ძალიან ბედნიერი ვარ, მაქვს ჩემი ბინა, საქმე და მყავს ბევრი მეგობარი.

შემდეგ- after ხშირად - often